implemented by
German Sparkassenstiftung
EASTERN EUROPE AND CENTRAL ASIA

პოლიტიკის ნარკვევი

ქალთა მეწარმეობა საქართველოში - როგორ დავძლიოთ ბარიერები?

გამოწვევების და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულების ფარგლებში. მისი შინაარსი ეფუძნება სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ მომზადებული კვლევის „საქართველოში მეწარმე ქალებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ბარიერები და შესაძლებლობები“ ძირითად მიგნებებს. კვლევა განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გერმანული ფონდის “შპარკასე საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“ (DSIK) ერთობლივი მხარდაჭერით.

თბილისი, 2025
გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა

რატომ არის მნიშვნელოვანი ქალთა მონაწილეობის ზრდა ეკონომიკაში?

არის ეკონომიკური უფლება

ქალებს აქვთ უფლება, თანაბარ პირობებში ჩაერთონ შრომით ბაზარზე, ისარგებლონ შესაძლებლობებით დისკრიმინაციის გარეშე, ჰქონდეთ რესურსებზე წვდომის და განკარგვის უფლება.

აჩქარებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას

ქალთა შრომით ბაზარზე სრულფასოვანი ჩართულობა 5-20%-ით ზრდის ქვეყნის მშპ-ს.

აფართოვებს შრომით რესურსებს

ქალების აქტიურობა ზრდის სამუშაო ძალის მოცულობას და აუმჯობესებს ეკონომიკის ეფექტიანობას.

უფრო მდგრადს ხდის ბიზნესს

ქალების მიერ მართული კომპანიები, როგორც წესი, გამოირჩევიან მაღალი პასუხისმგებლობით, გამჭვირვალობით და სტაბილურობით.

ინერგება ინოვაციები და ბიზნესი ხდება მრავალფეროვანი

მენეჯმენტში გენდერული მრავალფეროვნება ზრდის ინოვაციურობის მაჩვენებელს და ბიზნეს გადაწყვეტილებების ხარისხს.

ქალთა სამეწარმეო ექსპო 2026-ის მონაწილე მეწარმე ქალები
ფოტოგრაფი - თამარ რობაქიძე

მცირდება სიღარიბე

ქალთა დასაქმებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მექანიზმი სიღარიბის დაძლევისთვის.

უმჯობესდება ოჯახის კეთილდღეობა

მეწარმე ქალები ისწრაფვიან, ინვესტიციები გადაანაწილონ ოჯახზე, განათლებაზე და ადგილობრივ განვითარებაზე, რაც გრძელვადიან პოზიტიურ ეფექტს ქმნის.

მცირდება გენდერული უთანასწორობა

გენდერული უთანასწორობის შემცირება ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და საინვესტიციო მიმზიდველობას.

ქალთა მეწარმეობა საქართველოში ეტაპობრივად ვითარდება, თუმცა, გენდერული უთანასწორობა ამ სფეროში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. პრაქტიკაში მეწარმე თუ პოტენციური მეწარმე ქალების წინაშე მდგარი დაბრკოლებები კომპლექსურ ხასიათს ატარებს და მოიცავს როგორც ეკონომიკურ და ინსტიტუციურ, ისე კულტურულ და სოციალურ ფაქტორებს. განსაკუთრებით მწვავეა ფინანსურ რესურსებზე წვდომის პრობლემა, რომელიც განპირობებულია, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარეს არსებული ბარიერებით, რაც აფერხებს ბიზნესის დაწყებისა და განვითარების შესაძლებლობებს.

ეკონომიკური არასტაბილურობა და ბაზრის მაღალი გაურკვევლობა ზრდის ფინანსურ რისკებს. ამასთან, საოჯახო და მზრუნველობითი პასუხისმგებლობების არათანაბარი განაწილება ქალებს უქმნის დამატებით დროით და ორგანიზაციულ ბარიერებს, რაც ართულებს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასა და შენარჩუნებას. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს მიზნობრივი და კომპლექსური პოლიტიკის საჭიროებაზე, რომელიც ერთდროულად უპასუხებს ფინანსურ, ინსტიტუციურ და სოციალურ გამოწვევებს.

ზოგადი ინფორმაცია:

- საქართველოში ქალები მოსახლეობის 52%-ს შეადგენენ, თუმცა **მათი მონაწილეობა ეკონომიკაში დაბალია.** ქალების ნაკლები მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში შედეგად გვაძლევს ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობის დაბალ დონესა და ქალების ცხოვრების დაბალ ხარისხს.[1]
- **ქალების ჩართულობა შრომის ბაზარზე კაცებთან შედარებით დაბალია:** დასაქმებულია ქალების 39,9%, და კაცების 55,6%. **სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ქალების წილი კაცებზე 21,3 პროცენტული ერთეულით მეტია,** რაც ხაზს უსვამს ქალთა დაბალ ჩართულობას შრომის ბაზარზე.[2]
- **აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება** ქალებისა (88.3 პროცენტი) და კაცებისათვის (39.6 პროცენტი). სრული დროით დასაქმებული **ქალები 5-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საოჯახო შრომაში**, ვიდრე სრული დროით დასაქმებული კაცები.
- **ბიზნესის დამფუძნებელთა შორის კაცების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება ამავე კატეგორიის ქალების რაოდენობას** (2024 წელი: ქალი - 27%; კაცი - 61%).
- **ქალების 59% სამეწარმეო საქმიანობას ვაჭრობის სექტორში** ახორციელებს, რასაც მნიშვნელოვნად **ჩამორჩება მათი ჩართულობა სხვა ეკონომიკურ სექტორებში.**
- **მეწარმეების 70%-ს საკუთარი ბიზნესის/ წარმოების** გარდა შემოსავლის **ალტერნატიული წყარო არ გააჩნია.**
- საწარმოების ყველაზე **დიდი ნაწილი (38%) თავმოყრილია თბილისში,** რასაც მოსდევს იმერეთი (14%) და აჭარა (13%). ბიზნესსაქმიანობების დიდი უმრავლესობა (83%) ურბანულ სივრცეებშია კონცენტრირებული.
- მეწარმე ქალებს უფრო **მეტად აქვთ მხოლოდ საშუალო განათლება (34.8%), კაცებთან შედარებით (21%).** მეწარმე კაცების 43%-ს აქვს უმაღლესი განათლება, ან უფრო მაღალი - სამეცნიერო ხარისხი, მაშინ როცა მეწარმე ქალების მხოლოდ 30.5%-მა მიაღწია იმავე დონეს.
- მოქმედი ბიზნეს სუბიექტების **პროცენტული წილი, სადაც დამფუძნებელი ქალია, 33-ს შეადგენს** (სულ რეგისტრირებულია 281,071 საწარმო, დამფუძნებელი ქალების რაოდენობა 91,406).

პოტენციური მეწარმე[3] **ქალების** დიდ ნაწილს (74.5%) წარსულში ჰქონდა სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილება, თუმცა, ამჟამად ისინი აქტიურად აღარ არიან ჩართული ბიზნესში, რაც სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორით არის განპირობებული.

პოტენციური მეწარმე ქალების ზოგადი პროფილი



1. „ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში“, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), თბილისი, საქართველო, 2018.
2. „ქალი და კაცი საქართველოში“, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2025.
3. პოტენციური მეწარმე არის ინდივიდი, რომელიც არის ბიზნესიდეის გენერირების ეტაპზე ან შემუშავებული აქვს ბიზნესიდეა და მის განსახორციელებლად ცდილობს ფინანსური რესურსების მოძიებას.

მეწარმე და პოტენციურ მეწარმე ქალთა დაბრკოლებები ეკონომიკური საქმიანობისას

სამეწარმეო საქმიანობის **მცდელობის, დაწყების და განვითარების ეტაპზე** არსებული ბარიერები:

მოთხოვნის მხარე[4]

- **შეზღუდული ფინანსური წიგნიერება და ინფორმირებულობა** - საქართველოში მეწარმე ქალების ნაწილი არ ფლობს, ან ნაკლებად ფლობს ფინანსურ ცოდნას, რაც მნიშვნელოვანია ბანკებთან კომუნიკაციისთვის, სესხის პირობების ანალიზისთვის და ბიზნესგეგმის შესადგენად. არაკვალიფიციურად შედგენილი ბიზნესგეგმა ან პროექტი სესხის უარყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია (22%). ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე პოტენციური მეწარმე ქალებისთვისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც ზღუდავს ბიზნესის დაწყებისა და წარმატებით მართვის შესაძლებლობას. ბიზნეს ბიუჯეტირების (44.4%), საწყისი ხარჯების განსაზღვრის (33.3%), სავარაუდო მოგება-ზარალის ანალიზის (35.6%) მიმართ მაღალი მოთხოვნა მიუთითებს, რომ ქალები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ფინანსური რისკების შეფასებასა და ბიზნესის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის გააზრებას.

ბიზნესის დაწყების განმაპირობებელი ფაქტორები



„ბიზნესგეგმის შედგენა სერიოზული პრობლემაა. იდეის შემდეგ უნდა ვიცოდეთ, სწორად როგორ გავწეროთ მიზანი, სტრატეგიები, შევძლოთ ფინანსური პროგნოზის გამოთვლა, ბაზრის ანალიზი, რისკების გასაზღვრა. კანონების ცოდნაც გვესაჭიროება და ინფორმირებულობა იურიდიულ საკითხებზე. ვთქვათ, რეგისტრაცია როგორ ხდება ლიცენზიების, ნებართვების გაცემა და ა.შ.“

(პოტენციური მეწარმე ქალი, გურია).

- **აქტივების სიმცირე და ფინანსურ რესურსებზე წვდომის ბარიერები** - სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ეტაპზე პოტენციური მეწარმე ქალები ყველაზე ხშირად ფინანსურ ბარიერებს აწყდებიან. მათ შორის, მთავარ პრობლემას წარმოადგენს საბანკო სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთი და არასახარბიელო ვადები (62.5%),

ბიზნესის დაწყებისას ძირითადი მხარდამჭერები



ბიზნესის დაწყების ძირითადი წყაროები



ასევე, უარი დაფინანსებაზე, სესხის (31.3%) და ლიზინგის (25%) მიღებაზე, რაც ძირითადად უკავშირდება საკმარისი შემოსავლის, უძრავი ქონების ან საკრედიტო ისტორიის ნაკლებობას. დამატებით დაბრკოლებებს ქმნის თანადაფინანსების შეუძლებლობა (18.8%), უზრუნველყოფის/გარანტის დაკმაყოფილების სირთულეები (12.5%). ქალების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაკლებობა ზღუდავს უზრუნველყოფის წარდგენის შესაძლებლობას.

4. მოთხოვნის მხარეში იგულისხმება არსებული და პოტენციური მეწარმე ქალები.

- **სესხებზე მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი** - მეწარმე ქალ მსესხებელთა მიერ საფინანსო ინსტიტუტებისთვის მიმართვის მაჩვენებელი 19%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მეწარმე კაცების მიმართვიანობის მაჩვენებელს (81%).

სესხზე მიმართვიანობის მაჩვენებელი სქესის მიხედვით



- **მეწარმე ქალების დაბალი მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამებში** - ქალების შეზღუდული ინფორმირებულობა სახელმწიფო პროგრამების და, აგრეთვე, მათი ეფექტიანად გამოყენების გზების შესახებ, კვლავ გამოწვევაა. ქალების 33%-ს დამოუკიდებლად არ შეუძლია დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა, ხოლო 24%-ს უჭირს პროგრამებზე ინფორმაციის მოძიება.[5]

- **ბიზნესის ფორმალიზაცია** - არაფორმალური მეწარმეობა ხშირად წარმოადგენს არსებით დაბრკოლებას მეწარმე ქალებისთვის ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის პროცესში და საჭირო ფინანსური სერვისების მისაღებად.

- **სოციალური და გენდერული ნორმები, სტერეოტიპები და ოჯახის წევრების გავლენა ბიზნესის დაწყებაზე** - დროის დეფიციტი, ოჯახის მხარდაჭერის ნაკლებობა და წარუმატებლობის შიში ხაზს უსვამს სოციალურ ნორმებსა და ზრუნვის პასუხისმგებლობების არათანაბარ განაწილებას. გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება ქალებს უფრო მეტად შეზღუდული აქვთ სასოფლო დასახლებებში. ბიზნესის წამოწყების გადაწყვეტილებაში ქმრის მონაწილეობა სოფლად მცხოვრები ქალების 43%-მა დაადასტურა, მაშინ, როცა თბილისში ეს მაჩვენებელი 31%-ს შეადგენდა. ეს ფაქტორები დამატებით ზღუდავს ქალთა მეწარმეობის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით, ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზე.

- **ბაზარზე წვდომისა და ბიზნეს ეკოსისტემაზე ხელმისაწვდომობა** ქალებისთვის, როგორც ბიზნესის დაწყების, აგრეთვე მისი განვითარების ეტაპზე, გამოწვევაა. ქსელური ჩართულობა მკვეთრად დაბალია. უმრავლესობა არ არის ბიზნესასოციაციის წევრი, ხოლო 54% არც კი არის ინფორმირებული მეწარმე ქალთა მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. ქალების შეზღუდული წვდომა ბიზნეს ეკოსისტემასთან, მათ შორის, ქსელებისა და პარტნიორობების დეფიციტი, ხელს უშლის ინფორმაციის მიღებასა და გამოცდილების გაზიარებას, ზრდის იზოლაციის განცდას, ზღუდავს თვითდაჯერებას.

- **ადამიანური კაპიტალისა და შრომითი რესურსების გამოწვევები**, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად რჩება, განსაკუთრებით მცირე და დამწყები ბიზნესებისთვის. რესურსების დეფიციტი პირდაპირ აისახება ბიზნესის ეფექტიან ოპერირებაზე და ზრდის საჭიროებას მიზნობრივი ტრენინგებისა და შრომითი კაპიტალის მხარდაჭერის პროგრამებისთვის.

მიწოდების მხარე[6]

სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული დაბრკოლებები:

- **ბიუროკრატიული სირთულეები და დამატებითი ხარჯები** - სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისას ქალები აწყდებიან სირთულეებს საჭირო დოკუმენტაციის, ნებართვების, გეგმებისა და არქიტექტურის მომსახურების მიღებაში, რაც იწვევს პროცესის გართულებას, ხარჯების ზრდას და დროსთან დაკავშირებულ წნეხს. ასეთი ბიუროკრატიული პროცედურები ხშირად ბლოკავს ფინანსურ რესურსებზე წვდომას, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის პირობებში ეს მოთხოვნები არ იყო გათვალისწინებული.

- სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები ქალებს ძირითადად ბიზნესის გაფართოების მიზნით ეხმარება, მცირე ნაწილი სარგებლობს მხარდაჭერით ბიზნესის დაწყების დროს. ამასთან, **პროგრამული პრიორიტეტების შეუსაბამობას ქალთა საქმიანობის საჭიროებებთან და გეოგრაფიული შეზღუდვები** ხელს უშლის ქალებს პროგრამებში მონაწილეობის მიღებაში.

- **ინფორმაციის ნაკლებობა** - ქალები ხშირად ეყრდნობიან არაფორმალურ წყაროებს (ნაცნობებს/ ახლობლებს), რაც თავიდანვე თრგუნავს მოტივაციას.

- **დაბალი ნდობა ბანკების და სახელმწიფო პროგრამების მიმართ** - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება სათანადოდ ვერ რეალიზდება ბანკებში, რადგან ისინი ხშირად მოითხოვენ დამატებით უზრუნველყოფას ან ყველა ფინანსური ოპერაციის მათთან გადატანას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ნდობის ნაკლებობას და ზრდის სკეპტიციზმს. ამასთან, ბევრი ქალი მიიჩნევს, რომ დაფინანსების მიღება ხშირად დამოკიდებულია გავლენიან კავშირებზე. ასეთი რწმენა ანელებს ქალების ინიციატივას და ზრდის უნდობლობას ფორმალურ ინსტიტუციებთან მიმართებით.

5. „საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის გენდერული ზემოქმედების შეფასება, “, ივნისი, 2022.
6. მიწოდების მხარეში იგულისხმება სახელმწიფო, საფინანსო ინსტიტუტები და ბანკები.

საფინანსო ინსტიტუტები და ბანკები

- **ქონების ფლობის შეზღუდვები** - საქართველოს კანონმდებლობა ქალებსა და კაცებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს, თუმცა, პრაქტიკაში ქალებს ხშირად არ აქვთ თავის სახელზე გაფორმებული საკუთრება, რაც ხელს უშლის ქონების სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებას.

- **ვენჩურული კაპიტალისა და ინვესტიციების ხელმისაწვდომობა** - ვენჩურული კაპიტალის ბაზარზე დომინირებენ კაცები, ამიტომ ინვესტიციები ძირითადად ისეთ სექტორებში ხორციელდება, სადაც უმეტესობას კაცები წარმოადგენს. ასეთი გარემო ხელს უშლის მეწარმე ქალების წვდომას ინვესტიციებზე.

- **ბიზნეს ქსელებისა და მენტორობის შეზღუდვები** - ქალებს ხშირად არ აქვთ წვდომა ბიზნეს ქსელებზე, სადაც ფინანსური რესურსები და მენტორობაა კონცენტრირებული. ასევე შეზღუდულია წვდომა ბაზრებზე, ტექნოლოგიებზე და ტექნოლოგიების სფეროებზე.

- **სესხებზე უარის მიღების მაღალი რისკი** - ქალებისთვის სესხზე უარის მაჩვენებელი კაცებთან შედარებით ბევრად მაღალია (8.8% - ქალი, 1.9% - კაცი).[7]

- **ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან მაღალი უზრუნველყოფის მოთხოვნა** - კაცებთან შედარებით, ქალი მეწარმეების 3.2%-ით მეტს მოეთხოვება უზრუნველყოფა სესხის მისაღებად, ხოლო სესხის მოცულობასთან მიმართებით მოთხოვნილი უზრუნ-ველყოფის ღირებულება 19%-ით მეტია, როცა სესხი გაცემულია ქალის მიერ მართულ კომპანიაზე.

- **ქალებს ხშირად აქვთ მწირი საკრედიტო ისტორია,** რაც განპირობებულია მემკვიდრეობისა და ქონების ფლობის განსხვავებული პირობებით, კაცებთან შედარებით. ამ მიზეზით, ქალები ხშირად სესხებს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით იღებენ, ვიდრე კაცები. შედეგად, ფინანსური რისკები მნიშვნელოვნად იზრდება, რაც აფერხებს ბიზნესის განვითარებას და ზრდის ვალების ტვირთს.

- **გენდერულად მიკერძოებული მიდგომები** ფინანსურ სექტორში ზღუდავს ქალების შესაძლებლობებს.

- **გენდერულად ნეიტრალური ან არაეფექტიანი ფინანსური პროდუქტები** ვერ პასუხობს მეწარმე ქალების სპეციფიკურ საჭიროებებს.

- **ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა** გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში.

სესხისთვის მოთხოვნილი უზრუნველყოფა და უზრუნველყოფის ღირებულება სქესის ნიშნით



7. „გლობალური გენდერული ნაპრალი 2024“, სიღრმისეული ანგარიში“, ივნისი, 2024, მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი.

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ძირითადი ბარიერები:

კაპიტალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა

ბიზნესის დაწყება ძირითადად პირადი დანაზოგით ხდება.
გარე დაფინანსების წყაროები შეზღუდულია.

ფინანსური წიგნიერების დაბალი დონე

ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტირების და რისკების მართვის უნარების ნაკლებობა.

მაღალი საპროცენტო განაკვეთები და არასახარ-ბიელო სესხის პირობები

საბანკო სესხებზე მაღალი პროცენტი.
სესხი ხშირად მიიღება გაუთვლელი ფინანსური ანალიზის გარეშე, რაც ზრდის რისკებს.

მცირე ბრუნვები და მცირე მასშტაბები

მიკრო ბიზნესები რთულად აკმაყოფილებს ბანკების მოთხოვნებს.
დაბალი ბრუნვა ზღუდავს მსხვილი ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობას.

არაფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ძირითადი ბარიერები:

ბაზარზე წვდომის შეზღუდვა

გაყიდვების უმეტესობა ადგილობრივ ბაზარზეა კონცენტრირებული.
დაბალია რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გამოცდილება.

ბიზნესის დივერსიფიკაციის დეფიციტი

მეწარმეთა უმრავლესობა ერთ საქმიანობაზეა დამოკიდებული.
პროდუქტების/სერვისების ნაკლებობა ზრდის დაუცველობას.

სუსტი ბიზნეს მენეჯმენტი

ოპერაციული დაგეგმვის პრობლემები.
პარტნიორობები ხშირად ოჯახის წევრებზეა დაფუძნებული, რაც ზღუდავს მოქნილობას.

უნარების და ცოდნის ნაკლებობა

ფინანსური განათლების არ ქონა, სუსტი ბიზნეს უნარები, ციფრული უნარები და სხვა.

სტრუქტურული და გენდერული ბარიერები

გენდერული სტერეოტიპები და სოციალური ნორმები.
სახელმწიფო / ბაზრის მხარდაჭერის მექანიზმების არაეფექტიანობა.

კონკურენცია და ბაზრის პირობები

მასობრივი იმპორტი ადგილობრივ წარმოებას ზღუდავს.
მცირე მასშტაბი კონკურენციაში ჩართვას ართულებს.

რეკომენდაციები:

- **ცნობიერების ამაღლება** - საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ამაღლდეს ცნობიერება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის საკითხებზე.

- **სასწავლო და ცნობიერების ასამაღლებელი რესურსები** - გადაიხედოს და განვითარდეს ქალი სტარტაპერებისა და მეწარმეებისთვის განკუთვნილი სასწავლო და ცნობიერების ასამაღლებელი რესურსები, მათ შორის, არსებულ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას გენდერული თანასწორობის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ანტიდისკრიმინაციული საკითხები; მრავალფეროვანი სასწავლო ინიციატივების წახალისება და მობილიზება მეწარმე ქალების ბიზნეს შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

- **ზრუნვის სერვისები** - ქვეყნის მასშტაბით შეიქმნას და გაძლიერდეს ზრუნვის სერვისები, მათ შორის, ბაგა და საბავშვო ბაღები, ადაპტირებული და მოქნილი სამუშაო დროის გრაფიკი, მშობლობის გამო შვებულების შესახებ კანონმდებლობა და პოლიტიკა.

- **კოორდინირებული მუშაობა** - გაძლიერდეს ჰოლისტური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კოორდინირებულ მუშაობას.

საქართველოს ეროვნული ბანკისთვის:

- **საკანონმდებლო ცვლილებები** - განისაზღვროს „მეწარმე ქალის“ ოფიციალური განმარტება.

- **სტრატეგიებში ინტეგრაცია** - გენდერული თანასწორობის პრინციპები აისახოს ფინანსებზე წვდომის პოლიტიკაში.

- **ქალთა წარმომადგენლობა** - რეგულაციების მეშვეობით გაიზარდოს ქალების მონაწილეობა აღმასრულებელ მენეჯმენტში.

- **მონაცემთა სისტემა** - დაიხვეწოს სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა.

მეწარმეობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო უწყებებისთვის:

- **სტრატეგიებში ინტეგრაცია** - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში ჩაერთოს ქალთა მონაწილეობის კომპონენტი.

- **მიზნობრივი პროგრამები** - დაინერგოს ქალებზე მორგებული ინიციატივები და გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

- **ეფექტიანობის შეფასება** - შემუშავდეს ინდიკატორები სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად.

- **მონაცემთა შეგროვება** - დაფინანსებაზე უარის მიზეზების სქესის ნიშნით ანალიზი.

- **საკომუნიკაციო კამპანია** - ქალთა მეწარმეობის პოპულარიზაცია.

საფინანსო ინსტიტუტებისთვის:

არაფინანსური პროდუქტები:

- შეიქმნას **სპეციალიზებული საკონსულტაციო სერვისები** ან მომზადდნენ სპეციალიზებული თანამშრომლები, რომლებიც დაკავდებიან ქალების მიერ მართული ბიზნესების სპეციფიკური საჭიროებების მიმართულებით.

- **გადამზადდნენ საკრედიტო ოფიცრები და რისკის მართვის სპეციალისტები** გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციასთან ბრძოლის პრაქტიკების და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებში, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, საკრედიტო ქულის განსაზღვრისას, გაითვალისწინონ გენდერული ასპექტები.

- შეიქმნას **მენტორების**, გამოცდილი მეწარმეების, სექტორის ექსპერტებისა და მენეჯერების **ბაზა**, რომლებიც მეწარმე ქალებს გაუწევენ მხარდაჭერას.

- შეიქმნას **ონლაინ პორტალი ან მობილური აპლიკაცია**, რომელიც გააერთიანებს დოკუმენტების შაბლონებს, ონლაინკურსებს, ბაზრის კვლევებს, განახლებული რეგულაციებისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას.

- ჩატარდეს **საინფორმაციო კამპანიები რეგიონების დონეზე,** რომელთა მიზანი იქნება არაფინანსური და ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ მეწარმე ქალებში ცნობიერების ამაღლება. მათ შორის, **გაიზარდოს ქალების ინფორმირება** სასწავლო-საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე, ონლაინ საბანკო სერვისებზე, ანაბრებზე, დაზღვევაზე, ბიზნეს ბარათებზე, სესხებსა და საგარანტიო მექანიზმებზე.

- გაგრძელდეს მეწარმე ქალების **საჭიროებების კვლევა** და საჭიროებებზე მორგებული ინიციატივების განხორციელება.

- გატარდეს ღონისძიებები (ლიდერობის ტრენინგები, რეკრუტირების მექანიზმები და სხვა) საფინანსო ინსტიტუტებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მათ შორის, აღმასრულებელ მენეჯმენტში **ქალების წარმომადგენლობის** გაზრდის მიზნით.

ფინანსური პროდუქტები:

- შეიქმნას გენდერულად მგრძნობიარე სასესხო სისტემა; კერძოდ, მეწარმე ქალებისთვის სესხის გაცემისას დაინერგოს **მორგებული საგარანტიო სქემა, შემსუბუქდეს საკრედიტო-საგარანტიო მოთხოვნები** ანდა ხელმისაწვდომი გახდეს **საპროცენტო განაკვეთი და „ქეშბექის“ მექანიზმი.**

მაგალითად: **გირაოს ალტერნატივის შესაძლო ფინანსური ინსტრუმენტები:**

ფინანსური ინსტრუმენტები:	აღწერა	ძირითადი უპირატესობა
მიკროლიზინგი	მცირე ბიზნესისთვის ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა გირაოს გარეშე. ლიზინგის კომპანია ინარჩუნებს საკუთრებას, ხოლო მეწარმე იხდის ეტაპობრივად, შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.	დაბალი საწყისი ხარჯი; მოქნილი გადახდის პირობები.
ფაქტორინგი	დაფინანსება გაყიდული პროდუქციის გადაუხდელი ინვოისების საფუძველზე. ფინანსური ინსტიტუტი წინასწარ უხდის თანხას ბიზნესს, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ინვოისის დაფარვის შემდეგ.	ფულადი ნაკადების სტაბილიზაცია; სწრაფი წვდომა ფინანსურ რესურსებზე.

- სესხის გაცემისას მეწარმე ქალის მენეჯერული უნარებისა და გადახდისუნარიანობის განსაზღვრისას, გათვალისწინებულ იქნას **ალტერნატიული ინფორმაცია**, მათ შორის, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტ(ებ)ის ისტორია, სოციალური რეპუტაცია, სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

- **ბიზნესის დაზღვევისას** მოხდეს ისეთი პირობების შეთავაზება, რომლებიც გაითვალისწინებს ქალი დამფუძნებლების მშობლობის გამო შვებულებასთან, საოჯახო საქმეების გამო შეფერხებასთან და ციფრული ბიზნესისთვის, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

- სესხის გაცემისას შეფასდეს, **რამდენად უწყობს ხელს ბიზნესი გენდერულ თანასწორობას** (მაგ. დასაქმებული და გადამზადებული ქალების, მათ შორის, სოფლად მცხოვრები ქალების რაოდენობა, ძალადობაგამოვლილი ქალების ანდა თავშესაფრების მხარდაჭერა, ბავშვთა მოვლის და ლაქტაციის სივრცეები სამუშაო ადგილებზე, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა და სხვა) და შეთავაზებულ იქნას წახალისების მექანიზმები, როგორებიცაა, უფასო საკონსულტაციო მომსახურება, გადასახდელი ვადების გადაწევა ან გახანგრძლივებული პერიოდი და სხვა.

განათლებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო უწყებების, საფინანსო ინსტიტუტების, საერთაშორისო განვითარების სექტორისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის რეკომენდებულია **შემუშავდეს და დაიხვეწოს მეწარმე ქალებზე მორგებული სასწავლო და ცნობიერების ასამაღლებელი რესურსები.**

გაეროს ქალთა ორგანიზაცია შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს ქალთა უფლებების წინსვლასა და გენდერულ თანასწორობას, ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერებას. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამყვანი სააგენტო, ჩვენ ვმუშაობთ კანონების, ინსტიტუტების, სოციალური ქცევებისა და მომსახურებების ცვლილებებზე, რათა დავძლიოთ გენდერული უთანასწორობა და შევქმნათ თანასწორი მსოფლიო ყველა ქალისა და გოგოსთვის. გაეროს ქალთა ორგანიზაციისთვის ქალებისა და გოგოების უფლებები ყოველთვის და ყველგან გლობალური პროგრესის ცენტრშია, რადგან გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ მიზანი, რომლისკენაც ვისწრაფვით, ის ჩვენი მთავარი არსია.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქუჩა 87, ოფისი 4, 0179
თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 222 06 04 (995 32) 222 08 70
www.unwomen.org georgia.unwomen.org

UN WOMEN FOR ALL WOMEN AND GIRLS